ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5458511

ნომერი: AR1814326

თარიღი : 28.03.2021

გაცემის თარიღი : 18.06.2021

გაცნობის თარიღი : 18.06.2021

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გარდაბანი , ბაგების სატყეო უბანი , (ნაკვეთი 01/086) ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო უბანი , (ნაკვეთი N20) ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო ტერიტორია , (ნაკვეთი N40) ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო ტერიტორია , (ნაკვეთი N17) ; ქალაქი თბილისი , ბაგების სატყეო ტერიტორია , ნაკვეთი N17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი მჭედლიშვილი პ/ნ 01007001686
- წერეთლის გამზირი 71, ბ.24

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- საცხოვრებელი ობიექტები
  - ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის

ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

საპროექტო მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.14.09.004.519 ვრცელდება მაღალი გეოსაშიშროების არეალი. აქედან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 02/04/2021 წლის № 5353359 გადაწყვეტილებით მოთხოვნილი იქნა საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის და საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება. თქვენ მიერ წარმოდგენილი კვლევის და საექსპერტო შეფასების გადამოწმების - გეოლოგიური კვლევის შედეგების გაცნობით და ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა შემდეგი შეუსაბამობები:

1. ანგარიშში წარმოდგენილი ფოტოების თანახმად ირკვევა, რომ 8 მეტრიანი ჭაბურღილები გაბურღულია ხელის ბურღვით, რაც შეუძლებელია კლდოვან ქანებში;
2. საბურღი, როგორც ფოტოებიდან ჩანს, შნეკური ტიპისაა, რითაც კერნის ამოღება ვერ მოხერხდება;
3. მე-2 პუნქტიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდებოდა ლაბორატორიაში კვლევის ჩატარება, ხოლო ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები აღებულია ცნობარიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ მიერ წარმოდგენილი საინჟინრო - გეოლოგიური კვლევის და საექსპერტო შეფასების დოკუმენტაცია არ შეესაბამება რეალურ მდგომარეობას და თქვენ მიერ არ იქნა აღმოფხვრილი სამსახურის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად,2021 წლის 28 მარტის AR1814326 განცხადება დარჩა განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.